ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №125

20 მაისი 2013 წ.

სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის მიზნით

ვბრძანებ:

1. შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

– ვლადიმერ სიხარულიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარე;

– ნიკოლოზ დუმბაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი;

- ივანე ცინცაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა სამსახურის, სოციალური პროგრამების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი;

- ტარიელ ბერაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში - წევრი;

- გიორგი სიმონია - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი ქონების საკითხებში - წევრი;

- ირაკლი მეგრელიშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის შტატგარეშე თანამშრომელი მშენებლობის საკითხებში.

- დავით შარაშიძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე - წევრი;

2. კომისიამ შემჭიდროვებულ ვადაში უზრუნველყოს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენა და რეაგირებისათვის მასალების წარმოდგენა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*